საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2578/01
10/03/2020

2578-01-2-202003101116

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N21

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 14 თებერვლის N2505 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებიდან ირკვევა, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ გეგმავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 აგვისტოს N2-1026 ბრძანებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N32 10.05.17) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს კასპის ცემენტის ქარხანაში კლინკერისა და ცემენტის წარმადობის გაზრდას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში არსებულ ტექნოლოგიურ ხაზს აქვს რესურსი აწარმოოს დღეში 3800 ტონა კლინკერი, შესაბამისად არ იგეგმება ტექნოლოგიის ცვლილება. ამასთან განცხადებაში მაქსიმალურ დღიურ წარმადობად დაფიქსირებულია 3800 ტონა, ხოლო საშუალო დღიურ წარმადობად 3610 ტონა კლინკერი. წლიური წარმადობა კი მოცემულია საშუალო დღიური წარმადობის (3610 ტონა) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ცვლილებებით კლინკერის წლიური წარმადობა. ამასთან სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის კლინკერის ღუმელის ტექნიკური და ტექნოლოგიური მონაცემები.

საწარმოში დაგეგმილი ცვლილება აგრეთვე ითვალისწინებს ცემენტის წარმადობის ზრდასაც, თუმცა სკრინინგის განცხადებაში გაურკვეველია, ცვლილება დაგეგმილია მხოლოდ სამუშაო დღეების გაზრდის ხარჯზე თუ საწარმოში მოწყობილ წისქვილებს შეუძლიათ არსებულზე მეტი პროდუქტის (ცემენტის) წარმოება. შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ცემენტის თითოეული წისქვილის წარმადობა და შესაბამისი ტექნოლოგიური მონაცემები.

თქვენს მიერ წარმოდგენილი სკრინინგის დოკუმენტაცია არასრულყოფილია. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით N32 გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, შესაძლო ზემოქმედების შესახებ „გარემოსდაცვითი

შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

დამატებით გაცნობებთ, ზემოაღნიშნული სკრინინგის განცხადების თანდართული მასალა, კერძოდ „ემისიების ინსტრუმენტარული გაზომვის შედეგები“ სამინისტროში განსახილველად წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე იმსჯელებს მას შემდეგ, რაც შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე